

# ჩემი გაზეთი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა. (ა.) ი. ვ. ხელოვნებისა და ხალხური განვითარების ცენტრი

## ოჯინის გზა

„ჩემი გაზეთი“ კიდევ ერთ სიახლეს გთავაზობთ. ვინც ახალ რუბრიკას – „ოჯინის გზა“ გააცნობთ



და მოგიხრობთ ბაღდათის მუნიციპალიტეტისა და საოჯახო ღვინის მარნების შესახებ საინტერესო ამბებს. ასევე გადავიღებთ ვიდეორგოლებს, რომლის ნახვაც შეგეძლებათ ფეისბუქ გვერდზე „ბაღდათის საინფორმაციო ცენტრი“. ბაღდათის მუნიციპალიტეტი ცნობილია ღვინის წარმოებით. დიდი ყურადღება ეთმობა ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. სწორედ ამიტომ, მიმდინარე წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 14 საოჯახო ღვინის მარნთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

## მირიანის მარანი და უძველესი კუნძა



ჩვენი გუნდი ესაუბრა ახალგაზრდა ბაღდათელ მელვინეს მირიან იოსებაშვილს, რომელიც ღვინის ანარმობებს ვაზის ერთ-ერთი უძველესი ჯიშისგან – კუნძა. როგორც თავად ამბობს, საქართველოში ღვინის ამ სახეობის დაგემოვნება მხოლოდ მირიანის მარანში არის შესაძლებელი. ჩვენი საუბარი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მირიანი 25 წლისაა და ამ სფეროში ბავშვობიდანაა ჩართული. ვენახისადაც სიყვარული ბაბუამ ჩაუწერა, მასთან ერთად შრომობდა და უფლიდა ვაზს. მირიანი მიზანდასახული და მშრომელი ახალგაზრდაა. თავად არის ჩართული ვაზის მოვლის ყველა ეტაპზე. ძალიან ბევრი გეგმა და მიზანი აქვს, რომლის განხორციელებასაც ეტაპობრივად, საკუთარი ხარჯებით ახერხებს. მირიანის მარანი სოფელ ფერსათში, ბაღდათის ცენტრიდან 2 კილომეტრში მდებარეობს. იგი ტურისტებსა და მარანში მოსულ სტუმრებს ღვინის დეგუსტაციასა და იმერული სამზარეულოს მასტერკლასებს სთავაზობს.

„პირველად ღვინო 2013 წელს სხვების დახმარებით ჩამოვასხით. ამის შემდეგ გამიჩნდა ინტერესი და სურვილი დამოუკიდებლად გვეწარმოებინა ჩვენი მარნის ღვინო და გაგვეტანა საერთაშორისო ბაზარზე. თავდაპირველად კომპანია დავაარსეთ ბაბუის სახელზე, შემდეგ კი ჩემს სახელზე. ამ ეტაპზე ჩვენი მარნის საბრენდო ნიშანია „მირიანის მარანი“. ვანარმობთ 5 სახეობის ღვინოს: ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური საფერე, ძელშაგი და კუნძა. ეს არის ვაზის ის ჯიშები, რომლებიც ჩვენს ვენახში მოდის. „მირიანის მარანი“ არის ბუნებრივი ღვინის ასოციაციის წევრი, ამიტომ ვაზის შესაბამისად ვიყენებთ მხოლოდ ბიოლოგიურად სუფთა საშუალებებს და ვანარმობთ ბიოღვინოს.



ჩვენი მარნის საეიზიტო ბარათია კუნძა, რომელიც პირველად 2017 წელს ჩამოვასხით. მას აქვს ძალიან კარგი თვისებები. გამოირჩევა არომატითა და განსაკუთრებული, განსხვავებული გემოთი. ეს ჯიშის ბაბუის გამწვანებულ ვენახში წლების განმავლობაში არსებობდა. ვიცოდით, რომ ეს ვაზის განსხვავებული სახეობა იყო, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია არ გვქონდა. დავიწყეთ მოძიება, თუ რომელ ჯიშს განეკუთვნებოდა ჩვენს ვენახში არსებული ვაზი. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო გადაშენების პირას მყოფი, ერთ-ერთი უძველესი ჯიშის – კუნძა. საქართველოში ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ამ სახეობის ღვინოს ანარმობს. ვცდილობთ, მონაწილეობა მივიღოთ საქართველოში გამართულ სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსში. „მირიანის მარნისათვის“ განსაკუთრებული იყო 2014 წელს გორში გამართული საოჯახო ღვინის ფესტივალი, სადაც წარდგინდა გვერდი ჩვენ მიერ დამზადებული ღვინო „კრახუნა“. მოვიხილეთ უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი და გავხდით მედიის მფლობელები, – ამბობს მირიან იოსებაშვილი.

მირიანი პროფესიით ტურიზმის სპეციალისტია. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ეხმარება მას მიზნებისა და გეგმების განხორციელებაში. მარანში მოსული სტუმრებისთვის კიდევ ბევრი სიახლის შეთავაზებას გეგმავს, რაც მოსასვენებელი კომპლექსისა და ლია ტერასის მონაცემებს გულისხმობს.

ანა ქორიძე

## კოკითელი მოსწავლეების თვალთ დასახული დედამისა

სოფელ როკითის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „ბიოფილია“ ნიკო კეცხოველის სასკოლო პროექტის კონკურსის „ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე“ გამარჯვებულა. გუნდის წევრებს გადაეცემა ნამახასისებელი საჩუქრები.

დედამინის საათთან დაკავშირებით, ნიკო კეცხოველის სასკოლო პროექტის ფარგლებში ეკოკლუბებისთვის გამოცხადდა კონკურსი – „ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე“, რომელიც აერთიანებს დედამინის საათს (26 მარტი) და დედამინის დღეს (22 აპრილი). მისი მიზანია იყო მსოფლიოს ათასობით სკოლისა და მილიონობით ახალგაზრდის ჩართვა ადამიანებისა და დედამინისთვის უკეთესი მომავლის შექმნის პროცესში. კონკურსის შედეგად ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „ბიოფილია“ მასწავლებლის, მაია აბდლაძის ხელმძღვანელობით. მოსწავლეები გაერთიანდნენ იმისთვის, რომ ცნობიერება ამაღლონ ჩვენი სახლის – დედამინის პრობლემების შესახებ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები ამ პრობლემების მოსაგვარებლად. კონკურსის ფარგლებში, როკითის საჯარო სკოლაში დეივიდ ატენბოროს ფილის: „ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე“ საჯარო ჩვენება მოეწყო. სერ დეივიდ ატენბორო გვიზარებს საკუთარ ხედვას უკეთესი მომავალთან დაკავშირებით. კოლექტიური თუ პერსონალური ქმედებებით თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ამგვარი მომავლის რეალობად გადაქცევა. ამ სახელმძღვანელომ ხელი შეუწყო მოტივაციის მიმცემი საგანმანათლებლო სამუშაო შეხვედრების დაგეგმვასა და აღსრულებას. აქტიუობები ჩართეთ თითქმის ყველა კლასის მოსწავლე. მათ შეასრულეს ნახატები დედამინის დღის თემაზე: „ჩემი თვალთ დანახული დედამინა“; შექმნეს პლაკატები „დავეხმაროთ დედამინას“, მოაწყვეს ეკომეგობრული მწვანე სახლის მაკეტის გამოფენა, დასუფთავებისა და გამწვანების აქციები. ეკოკლუბებმა ბევრი იშრომეს. მათ არაერთი საკითხი იკვლიეს და შეარჩიეს სასურველი ცვლილებები, დაადგინეს გამოსავლის გზები, რათა საკუთარი მანიფესტი შეედგინათ. ბიომრავალფეროვნებაზე მუშაობდა ქეთი კბილაშვილი, გლობალური დათბობასა და კლიმატის ცვლილებაზე – შოთა ლაბაძე, კლიმატსა და ენერგოეფექტურობაზე – დათო ჩიქოვანი. ჩვენი გაზეთის სახელით როკითის საჯარო სკოლას კიდევ ბევრ კონკურსში მონაწილეობასა და გამარჯვებას ვუსურვებთ!

ინფორმაცია მოგვანდა როკითის საჯარო სკოლის მასწავლებელმა მაია აბდლაძემ

## გაყოფილება თოჯინები

ბაღდათში აპრილი ბავშვებისთვის საზეიმო განწყობით მოვიდა. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა განაახლა თოჯინების თეატრი. ამ სასიამოვნო სიახლეზე სასაუბროდ „თოჯინების“ ახალ რეჟისორს, ნანა ოქროიანს ვესტუმრეთ.



ქალბატონი ნანა 2000-იანი წლებიდან მსახიობად მუშაობს ქალაქ ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში. სიამაყით აღნიშნავს გამოჩენულ, დიდ რეჟისორებთან მუშაობას, რომლებმაც მის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი როლი შეასრულეს – ბატონი გივი სარჩიშვილი და ბატონი ლევან გაბრიჭიძე არიან მისი გზამკვლევი სამსახიობო ოსტატობისკენ. ასევე პროფესიულ გზაზე მისთვის ფასდაუდებელია თოჯინების თეატრის უხუცესი თანამშრომლების რჩევა-დარიგებები.

რეჟისორის ბაღდათში მოსვლა მართლაც რომ ბედნიერი შემთხვევითობა იყო. მისი საქმიანობით დაინტერესდა და გაეცაზურა სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბატონი ბაჩუკი მშვილდაძე, გაჟღერდა თოჯინების თეატრის განახლების სურვილი. საუბარს მალე საქმიანი შეხვედრა მოჰყვა და თანამშრომლობაც შედგა. მათ პირველ ეტაპზე სამპერსონაჟიან პიესაზე შეაჩერეს არჩევანი. ვინაიდან ბაღდათს არ ჰყავდა ამ სფეროში სპეციალური პროფესიული განათლების მქონე მსახიობები, სპექტაკლში მონაწილეები ბაღდათის სახალხო დრამატული თეატრიდან და ახალგაზრდა, დამწყები მსახიობებისგან შეირჩა, დადგამა დიდი მოწონება დაიმსახურა, აღფრთოვანებული პატარების მოთხოვნის გამო ჩვენება სამჯერ გაიმართა.

დიდი ინტერესის გამო რეჟისორმა და ახალშექმნილმა გუნდმა მეორე სპექტაკლზე, „ბატის ჭუჭუე“ დაიწყო მუშაობა. ქალბატონი ნანა სიურპრიზად გვიტოვებს დაგეგმილ სიახლეებს და გვპირდება, რომ განახლებული თოჯინების თეატრი ღირსეულად წარსდგება ახალ-ახალი სპექტაკლებით ბაღდათელი მკურნების ნინაზე.

ანა მაჰანიშვილი

## მინის სისტემური რემისტრაცია

მინის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2022 - 2024 წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით სრულყოფილი საკადასტრო მონაცემები შეიქმნება. ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში საჯარო რეესტრი სრულად აზომავს და დაარეგისტრირებს კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებს და შექმნის მონაცემთა ერთიან ბაზას. მინის სისტემური რეგისტრაცია სრულად ელექტრონულად ხორციელდება. რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა მომსახურებას მოქალაქეები უფასოდ, ოფისში მისვლის გარეშე მიიღებენ. სარეგისტრაციო სამუშაოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საკუთარი მატერიალური, ტექნიკური და პროგრამული რესურსებით ახორციელებს.

აღნიშნულ საკითხზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელს – ეკატერინე მშვილდაძეს ვესაუბრეთ.

„საქართველოს მთავრობა რამდენიმე წელია მუშაობს მინის სისტემური რეგისტრაციის შესაბამის კანონზე. 2016 წლის 31 ივლისს ამოქმედდა საქართველოს კანონი „მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ნებისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ოუსტიციის სამინისტრომ და მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მინის რეგისტრაციის მასშტაბური რეფორმა. სპეციალური ნებისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ საქართველოს ოუსტიციის მინისტრის №150 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმა. სახელმწიფო უწყებებმა აღნიშნული რეფორმის ფარგლებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს კანონში და გამოიცა შესაბამისი ბრძანებები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩართო პროექტის განხორციელებაში. შესაბამის

სი სამსახურები უზრუნველყოფენ მოსახლეობის დაკავალიანებასა და მინის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების მოძიებას. ყველა ეს სერვისი ჩვენი მოქალაქეებისათვის იქნება უფასო და ხელმისაწვდომი“, – ეკატერინე მშვილდაძე.

მინის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში საკადასტრო აგენტო/აზომვითი სამუშაოების დაწყების დრო შემდეგნაირად განისაზღვრა: 2022 წელი:

- მაისი - სოფელი როხი,
- ივნისი - სოფელი საკარაულა,
- ივნისი - სოფელი ხანი,
- აგვისტო - სოფელი დიდველა,
- აგვისტო - სოფელი როკითი.

2023 წელი:

- აპრილი - სოფელი დიმი,
- აპრილი - სოფელი პირველი ოზნა,
- ივლისი - სოფელი მეორე ოზნა,
- სექტემბერი - ნითელხევი.

2024 წელი:

- იანვარი - სოფელი ნერგეთი,
- იანვარი - სოფელი ზედა დიმი,
- იანვარი - ქალაქი ბაღდათი,
- ივლისი - სოფელი ვარციხე,
- ივლისი - სოფელი ზეგანი.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები საფასურის გადხდის გარეშე მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:

- მინის ნაკვეთების საკადასტრო აგენტო/აზომვითი სამუშაოები;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- სანოტარო მედიაცია;
- მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;
- მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;
- მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია.

ანა ქორიძე



### კურორტი საირმე აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ პოზიციებზე:

- მზარეული,
- მზარეულის დამხმარე,
- ყასაბი,
- ბოსტნეულის მრეცხავი,
- ტექნიკურის თანამშრომელი,
- ენერგეტიკი,
- ბიუვეტების სპეციალისტი,
- მიმღები-რეგისტრატორი / სასტუმროს ადმინისტრატორი,
- უსაფრთხოების თანამშრომელი,
- მრეცხავი,
- მიმტანი,
- მიმტანის დამხმარე,
- ბარმენი,
- ბარმენის დამხმარე,
- მოლარე,
- მასაჟისტი,
- სანყოფის ოპერატორი,
- მომმარაგებელი,
- მცხობელი,
- დიასახლისი,
- დასუფთავების მუშაკი,
- სამრეცხაოს თანამშრომელი,
- მეფოვე.

#### კურორტის შესახებ:

კურორტი „საირმე“ მდებარეობს ბაღდათის რეგიონში, სუბტროპიკული სარტყლის მთიან ზონაში, ქუთაისის სამხრეთით ზღვის დონიდან 950 მ-ზე. „საირმე“ ევროპის ყველაზე დიდი კურორტია. მწვანე საფარი შეადგენს 60 ჰექტარს და არის ერთადერთი კურორტი, სადაც 4 სხვადასხვა მინერალური სამკურნალო თვისების და 1 თერმული წყარო ამოედინება, რითაც მრავალი დაავადების განკურნება შესაძლებელია.

საირმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 2 სასტუმრო, ჯამში 256 ნომრით, სადაც 700-მდე ადამიანის განთავსება შესაძლებელია.

კურორტზე ფუნქციონირებს სპა და ველნეს ცენტრი, დიდი მოცულობის კომპლექსი 57 ტიპის თერმული და მინერალური წყლებით გამაჯანსაღებელ პროცედურას სთავაზობს დამსვენებლებს. სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საკურორტო პოლიკლინიკით, რომელიც სასტუმრო საირმის ტერიტორიაზე მდებარეობს და დამსვენებლებს 24 საათის განმავლობაში სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებას, როგორცაა: თერაპიული, კარდიოლოგიური, უროლოგიური კონსულტაცია. კომპანიის მხრიდან უზრუნველყოფილია: კვება, საცხოვრებელი საჭიროების შემთხვევაში და ტრანსპორტირება.

**ინფორმაცია მოგვანდა კურორტი საირმის ადმინისტრაციამ, „ჩემი გაზეთი“ ინფორმაციის სიუსტემზე პასუხისმგებლობას არ იღებს.**

### ნიჭიერი თაზა

„ნიჭიერ თაზას“ აპრილში მართლაც გამოჩენილი სტუმარი ჰყავს – მოზარდი, რომელიც ნიჭით, გონიერებით, მიზანდასახულობით, შრომისმოყვარეობით, თვითგანვითარებისკენ სწრაფვით სამაგალითოა. იშვიათია ასეთი მრავალმხრივი თანხვედრა ერთ პიროვნებაში. ვუსმენდი და სასიამოვნო გაოცება მიპყრობდა. ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და როგორი ჩამოყალიბებული, თავდაჯერებული და მიზანდასახულია. წინ მთელი ცხოვრება აქვს და ადვილი წარმოსადგენია, რა მომავალი ელოდება.

წინო ჯაბიძე 2007 წლის 5 ივნისს დაიბადა. ის ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა. მიზანდასახული მოზარდის სამომავლო გეგმა გახდეს დიპლომატი და ამ სურვილის ასახურებად მზადება უკვე დაწყებული აქვს: ახორციელებს საზოგადოებრივი მიმართულებით აქტივობებს; არის ბაღდათის ახალგაზრდული საბჭოს წევრი; ასევე საბჭოს ერთ-ერთი კლუბის – განათლების სექტორის ლიდერი, სადაც გუნდი ერთობლივად გეგმავს აქტივობებს და შემდგომ დასახული გეგმები ხორციელდება საბჭოს ეგიდით. წინო ქართული ვიკიპედიის მოხალისეა, მასში აქტიურად ათავსებს სტატიებს. განსაკუთრებით მოსწონს საზოგადოებრივი ხასიათის ესეების წერა. გოგონა დაინტერესებულია მომავლის პროფესიებით ტექნოლოგიის მიმართულებით. ამჟამად ეუფლება ვებდეველოპინგს, შეისწავლა პითონის ენა, გაიარა სპეციალური კურსები ციფრულ ტექნოლოგიებზე. გასულ წელს ჩართული იყო იმერეთის განვითარების ცენტრის პროექტში – „სქაი კლუბი“, ასევე იყო ახალგაზრდული ჰორიზონტის პროექტი – „მკითხველთა კლუბი“. დაინტერესებულია ქართულ-აფხაზური თემბატიკით და სამუშაო შეხვედრებს ონლაინ რეჟიმში ერთვება. წინო დაინტერესებულია გენდერული საკითხებითაც.

სკოლაში მისი საყვარელი საგანია ისტორია და ინგლისური. სულ ახლახანს ჩართული იყო კიდევ ერთ პროექტში – „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“. პროგრამა ძალიან მოეწონა, რადგან თვლის, რომ საკითხები აღნიშნული აქტივობიდან მის სამომავლო გეგმებს ძალიან დაეხმარება, კერძოდ: დემოკრატიის არსი, სოციალური კაპიტალი.

ნიჭიერი ახალგაზრდა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის განვითარებაში ძალიან დიდ როლს ასრულებს არაფორმალური განათლება, თუნდაც ის უნარები, რაც ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან შეიძინა: პრეზენტაციის გამართვა, უცხო ადამიანებთან საერთო ენის გამოხატვა და სადავო საკითხებზე მუშაობა, სიტყვით გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე, პროექტის გეგმის დასახვა, ჩამოყალიბება და განხორციელება.


წინო მოცუვავდა თვა დარჩიას მოსწავლეა. გაჩნდა თუ არა რაიონებში სტუდიის გახსნის იდეა, წინო მის მალევე საქმედ აქცია. დღესდღეობით მას ოცდაათამდე ცეკვის მოყვარული ჰყავს. პროექტი ხუთ თვეს მოიცავს და ივნისში დასრულდება. გოგონა მსურველებისთვის ისევე გეგმავს გაკვეთილების გაგრძელებას.

ჩვენი საამაყო მოზარდი აქტიური და კარგი მკითხველია. დეტექტიური ყანრი ძალიან მოსწონს და აგათა კრისტი მისი ერთ-ერთი საყვარელი მწერალია. წინოს საყვარელი მწერალი გურამ დოჩანაშვილია. მისი თქმით, კითხვა ნაწარმოებმა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ შეაყვარა, არამარტო შეაყვარა, არამედ მიახვედრა წიგნის არსს, დანიშნულებასა და ღირებულებას ადამიანის ცხოვრებაში. „ჩემი გაზეთის“ გუნდის სახელით წარმატებას ვუსურვებ ამ ერთობ გამოჩენულ, ნიჭიერ და მიზანდასახულ ახალგაზრდას. მჯერა, ბაღდათი ახლო მომავალში ძალიან იამაყებს მისი გაზრდილი შვილით.

ჯა მამანიძე



რამდენიმე წელია, თანამედროვეობის ერთ-ერთი უშესანიშნავესი პოეტი, ზაალ ებანოიძე და კოტე კიკნაძე გვანებივრებენ გენიალური მაიაკოვსკის შედევრების ბრწყინვალე თარგმანებით. ეს სხვა მაიაკოვსკია, პოეტი, რომელსაც არ ვიცნობდით, პოეტი, რომელსაც აღმერთებდნენ მისი თანამედროვეები, პოეტი, რომლის შემოქმედებას წარმატებით იყენებდნენ ბოლშევიკები თავისი რეჟიმის სააგიტაციოდ და სამწუხაროდ მოახერხეს, ფარდის მიღმა დაეტოვებინათ ის, რაც ყველაზე კარგი იყო მის შემოქმედებაში... მთარგმნელები აგრძელებენ ჩვენს გაოცებას. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა თარგმანები, საინტერესო ისტორიები პოეტის ცხოვრებიდან და ა. შ. გთავაზობთ ვლადიმერ მაიაკოვსკის კიდევ ერთი შედევრის, ჩვენი აზრით, კარგ თარგმანს...



### კუსემს

#### ვლადიმერ მაიაკოვსკი 1916

აი, მეც მოვედი  
სირაქლემა, უცხო და შორეული,  
ფლერენ რითმები,  
სტრიქონების მასხია ფრთები,  
და სწორედ ამ დროს,  
ჩემს სულელ თავს მორეული,  
საკუთარ ფრთებში და ბუმბულში  
ენვეარ და ვიბები.  
მე შენი არ ვარ, თოვლიანო, გონჯო,  
ართვალო,  
უფრო ღრმად გმარტებს  
სულო ახლა ფრთებში ჩანოლა,  
ასეთ დროს, სულ სხვა სახეს იღებს  
თვალში სამყარო  
და ჩრდილოეთურს სამხრეთული  
ანონასწორებს.  
ცხელი კუნძული, პალმებში ჩაფლულა,  
„ჰეი გზა მომეცი“  
სათქმელი მათქმევინეთ.  
ნუ მებრძვით, დამტოვებ ჩემს  
კუთვნილ ზაფხულთან

და სილის საათით  
დრო-ჟამი მათვლევინეთ.  
ძაღლების ყეფაზე შეეცებები,  
ლიქსაც ვერ ვიტან – განვიციდი.  
„დედა, ა, დედა,  
მოაქვს მას კვერცხები?“  
„არ ვიცი, სულიკო,  
ნამდვილად არ ვიცი.“  
სახლების ღრიალი,  
ქუჩების თვალთვალი,  
და ციდან ჟამი-ჟამს ცივი წყლის სხურება;  
და ცივი ზაფხულით,  
და ცხელი ზამთარით,  
მე ამ გამოტანჯულ  
დროს ვემსახურები.  
ჩამბლუჯე ხელი საზიზლარი  
და ამიტაცე,  
და მერე ქარის სამართლებლით  
ფრთები შემჭერი;  
ვდგეკარ დეკემბრის გალივებულ  
და ბნელ მინაზე,  
საითაც უნდა გადვიკარგო –  
იმ გზას შეეცქერი.

თარგმნეს

ზაალ ებანოიძე და კოტე კიკნაძე

## ბაღდათელები ერთმანეთისთვის

სიკეთე  
გაიამაყება

2020 წლის 21 მარტს საფუძველი ჩაეყარა სოციალურ კამპანიას „ბაღდათელები ერთმანეთისთვის“. ამ პროექტის ფარგლებში გაერთიანდა 5 ბაღდათელი ახალგაზრდა, რომლებსაც მალევე შეუერთდა უამრავი მოხალისე. მათი მიზანი იყო დახმარებოდნენ ასაკოვან ადამიანებს, რომელთაც პანდემიის პირობებში არ შეეძლოთ გარეთ გამოსვლა, საჭირო პროდუქტებისა თუ მედიკამენტების შექენა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, დახმარება გაუწიეს სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებსაც. თავდაპირველად შეიკრიბა 5 ახალგაზრდა: გურამ კიკნაველიძე, ალექსო ლალიძე, ზვიად პატარაძე და თორნიკე გაჩეჩილაძე. მოგვიანებით შეუერთდნენ ლევან ჩიბურდანიძე, სოსო კოტორეიშვილი და ვალერი კვიციანიძე.



„ჩემი გაზეთის“ გუნდი „ბაღდათელები ერთმანეთისთვის“ ერთ-ერთ დაფუძნებელს გურამ კიკნაველიძეს ესაუბრა.

„კოვიდპანდემიის დროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც მოსახლეობასა და დაწესებულებებს სანიტარული ნესების დაცვისა და რეგულაციების შესახებ ვანოდებდით ინფორმაციას. აღნიშნული ჯგუფის წევრი ვიყავი მეც, როგორც მოქმედი საკრებულოს წევრი. ერთ საღამოს საინფორმაციო საშუალების მეშვეობით მოვისმინე ინფორმაცია, რომ ბიზნესმენებმა ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მერიაში შენიერეს თანხა, რომლითაც რამდენიმე ოჯახს დაეხმარებინათ. ამის შემდეგ გამიჩნდა იდეა, ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაეხმარებოდით საჭიროების მქონე ოჯახებს. ეს ინფორმაცია მეგობრებს გაუზიარე და მათი გვერდით დგომით დაინწყეთ აქტიური მუშაობა. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა შევიმუშავეთ გეგმა, დისახა მიზნები. სოციალური ქსელის მეშვეობით შევქმენით ჯგუფი „ბაღდათელები ერთმანეთისთვის“, სადაც განვთავსეთ ინფორმაცია ჩვენი გეგმების შესახებ. ძალიან მალე ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჯგუფში წევრების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. მოქალაქეებმა აქტიურად დახმარება თანხის ჩარიცხვა. გაჩნდა იდეა ჩაგვეწერა ცნობილი ბაღდათელების ვიდეომიმართვები, რომლებიც ქვეყნდებოდა ჩვენს ფეისბუქგვერდზე. ასევე ვაქვეყნებდით ინფორმაციას ყველა შემომნიშვნელის შესახებ და იმ ოჯახების სიას, ვისაც ამ თანხით ვეხმარებოდით. საერთო ჯამში, შემომნიშვნელთა რაოდენობა იყო 250 ადამიანი და შეგროვდა 30 000 ლარი, რომლითაც დავეხმარეთ 650 ოჯახს“, – გურამ კიკნაველიძე.

სოციალური კამპანიის ფარგლებში საინიციატივო ჯგუფის წევრები შემოსული თანხით ყიდულობდნენ პროდუქტებს, ანაწილებდნენ და მოხალისეების დახმარებით სახლში აწვდიდნენ მოსახლეობას. აქციაში ბევრი ადამიანი ჩაერთო. მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომლები. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ჯგუფის წევრებს პირდაპირად, სადღეინფექციო ხსნარებით, ტრანსპორტითა და სხვა საშუალებებით უწევდა დახმარებას. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს მრავალშვილიან ოჯახებსაც დახმარებოდნენ და მუნიციპალიტეტის მასშტაბით 100 ოჯახს მიუტანეს საჭირო პროდუქტები. კამპანიის ფარგლებში ასევე დაეხმარნენ ეტლით მოსარგებელ ბენეფიციარს და შეუძინეს ელექტრო ეტლი. ამ ღონისძიებით დასრულდა კამპანია „ბაღდათელები ერთმანეთისთვის“, რომელიც მიმართული იყო პანდემიის გამო გამოწვეული სირთულეების დაძლევისა და საჭიროების მქონე ოჯახებისთვის დახმარების განევაზე. მოგახსენებთ, ამ პერიოდში ქვეყანაში გამოცხადებული იყო ლოკდაუნი.

ბაღდათელი ახალგაზრდების ერთობაში მთელ ქვეყანას მოედო. ამ ამბით დაინტერესდნენ ტელევიზიები და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები. ჩვენი მუნიციპალიტეტი ქვეყნის მასშტაბით იყო ერთ-ერთი მონაწილე და მაგალითის მიძღვნილი სხვა მუნიციპალიტეტებისათვის. კეთილი საქმის კეთება, რომელშიც ამდენი ახალგაზრდა უანგაროდ იყო ჩართული, ნამდვილად საამაყო ჩვენი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით ბაღდათისათვის. მათ ერთმანეთის გვერდით დგომით ბევრი ადამიანის გახარება შეძლეს.

ანა ქორიძე

# აღდგომა – ბრწყინვალე დღესასწაული

## მიუტევე და მოგეტევება

აღდგომა საქართველოში, ისევე როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას. აღდგომა უდიდესია 12 საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნების მომდევნო კვირას აღნიშნავს, იუდეველთა პასექის შემდეგ კვირა დღეს.


აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე სასაუბროთ ვესტუმრეთ არქიმანდრიტ მაქარს, რომელმაც აღდგომის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ სიმბოლოებზე გვიამბო.

„ქრისტიანობაში აღდგომა ყველაზე დიდი დღესასწაულია. მხოლოდ აღდგომის დღესასწაული უნდა მოვიხსენიოთ როგორც – ბრწყინვალე. უფალმა ადამი და ევა შექმნა და მათ დედამიწაზე პატარა ნაწილი, ედემის ბაღი გამოუყო. ადამის ცოდვით დაცემის შემდეგ ღმერთმა მათ მისცა აღქმა, რომ მოვიდოდა მხსნელი მათი შთამომავლობიდან და გამოიხსნიდა მათ ცოდვებიდან. სწორედ ეს მოხდა 20 საუკუნის წინ, როდესაც მაცხოვარი განკაცდა.“

კაცობრიობის გამოსნა მოხდა ჯვარცმით და აღდგომით, ამიტომ არის აღდგომა ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული. განკაცება, ქრისტეს შობა და ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ ყოფილიყო ჯვარცმა და აღდგომა. ხომ შეიძლება არ განკაცებულიყო ღმერთი და სხვა ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო მესია, მაგალითად, ვინმე წინასწარმეტყველი. მაგრამ, როდესაც ადამი დაეცა, მთელმა სამყარომ განიცადა ცვლილება. ამიტომ ადამის შთამომავალი ვინც არ უნდა ყოფილიყო, კაცობრიობის გამოსნას ვერ შეძლებდა, რადგან მას უკვე თავად ბუნებაში ჰქონდა ცოდვისკენ მიდრეკილება. უნდა მოსულიყო ვინმე, რომელიც არ იქნებოდა ადამიანებთან ცოდვების თანაზიარი, მაგრამ ამავე დროს ბუნებით უნდა ყოფილიყო ადამიანის თანაზიარი, ამიტომ განკაცება მოხდა არა ჩვეულებრივი გზით, არამედ, იშვა ქალწულისგან მამაკაცის გარეშე სულიწმინდით.

ქრისტეს ადამიანური ბუნებით შექმნილი უარი ეთქვა ჯვარცმაზე, მაგრამ ეს ადამიანური ბუნებით გადამწყვიტა. ადამიანური ნება იყო დამორჩილებული ღვთაებრივ ნებას თავისუფალი ნებით, ისევე როგორც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ადამიანური ნება სრულად დაუმორჩილოს ღვთაებრივს. ქრისტე მართალი ადამიანი იყო და მას არ ჰქონდა ადამის დაცემული ბუნება. როდესაც ის გარდაიცვალა როგორც სხვა ყველა ადამიანი, ქრისტეც ჩავიდა ჯოჯოხეთში. სწორედ იქ მოხდა ბოროტების დამარცხება. ამასთან დაკავშირებით მინდა

ერთი შედარება გავაკეთო. იოანე საბანისძეს, „აბო თბილელის წამებაში“ აქვს რამდენიმე სიტყვის განმარტება და მათ შორისაა სიტყვა „მატილი“. როგორც გამოცდილი მეთევზე ანკესს მატლით დაფარავს და სატყუარად გადააგდებს, ასევე ღმერთმა თავისი ღვთაებრივი ბუნება ადამიანურით დაფარა და გადაუგდო ეშმაკს. ჯოჯოხეთში ჩასულმა ქრისტემ გაიმარჯვა ეშმაკზე და მოხდა ადამიანის ჯოჯოხეთიდან გამოსნა. ყველა ადამიანს მიეცა ცხოვნების საშუალება ჯვარცმითა და აღდგომით.



კვერცხის წითლად შეღებვა მარიამ მაგდალინელის რომში ჩასვლას უკავშირდება. მან იმპერატორთან და სინედრიონის წევრებთან იჩივლა ქრისტეს ჯვარცმის დროს დარღვეულ კანონებზე. მარიამ მაგდალინელმა იმპერატორს უქადაგა მაცხოვრის აღდგომის შესახებ. იმპერატორმა კი უთხრა: „ეგ ისეთი დამაჯერებელია, როგორც ეგ თეთრი კვერცხი წითლად შეიღებება“. ამ სიტყვების შემდეგ კვერცხი განითლდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღდგომა არის უმთავრესი დღესასწაული, მას არ უნდა დაუმორდეთ. ეს დღესასწაული ადამიანებს აყვარებს ქრისტეს და აძლევს მათ იმედს, ღვთის სასოებას. ღმერთი ადამიანებისგან ითხოვს „მიუტევე და მოგეტევება“. სწორედ ამისთვის გვჭირდება მარხვა, ლოცვა და აღსარება. თუ ადამიანი სინანულშია და ლოცულობს, იგი ხდება მიმტეველები და მოწყალე. ჩვენ თუ იმას ვიფიქრებთ, რომ ღმერთი დასჯის ყველას, ვინც სხვადასხვა ცოდვას ჩადის, არასწორად იქცევა და ჯოჯოხეთში ჩაადგება, მაშინ ჩვენ ვხდებით არაშემწყნარებელი, უწყალო. იოანე ოქროპირი ამბობს: „ერთი სამართლიანად დასჯილი კაცის დასჯაც თუ გაგხიბრდება, ვერასოდეს სამოთხეში ვერ მოხვდები“. თუ შენ ჭეშმარიტად ქრისტიანი გქვია, ყველა დასჯილი უნდა გეცოდებოდეს და თუ ეს ასე არ არის, მაშინ არ ხარ ჭეშმარიტად ქრისტიანი.

ნიკო რობაქიძე

# გიტკობა და წმინდა გიტკობის ეკლესიები

იმუჯაყი ზაქარია



6 მაისს მართლმადიდებლური ეკლესია დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით გაზეთის თანამშრომლებმა ჩავთვალით, რომ საინტერესო იქნებოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაზე გვესაუბრა.

საქართველოში ბევრი წმინდანია, რომელთაც თავიანთი ადგილი უჭირავთ ქართულ ქრისტიანულ სივრცეში. მათ შორის გამორჩეულია კაბადოკიელი მხედართმთავარი წმინდა გიორგი. მასზე ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „არა არს საქართველოში არცა მთანი და არცა მალაღნი ბორცვნი, სადაც არა იყოს ტაძარნი ანუ წმინანი წმინდისა გიორგისანი“.

მაინც ვინ იყო წმინდა გიორგი, რომ ქართველებში ასეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა?

წმინდა გიორგი დაიბადა კაბადოკიაში III საუკუნის II ნახევარში იმპერატორ დიოკლეთიანეს მმართველობის დროს. ეს იმპერატორი გამორჩეული იყო იმით, რომ სდევნიდა და სასტიკად უსწორდებოდა ქრისტიანებს, რომლებიც იმ დროს რომის იმპერიაში უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ.

წმინდა გიორგი იყო დიდებული ოჯახის შვილი. მამას გერონტიოსი, ხოლო დედას პოლიხრონიოსი ერქვა. სწორედ დედამ აზიარა პატარა გიორგი ქრისტიანობას.

გიორგიმ თავისი მოღვაწეობით დიდი სახელი გაითქვა და ერთ-ერთი არმიის მთავარსარდალიც გახდა. ის იყო ადამიანი, რომელმაც გაბედა და იმპერატორის სასახლეში დიოკლეთიანეს თანდასწრებით ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო, რამაც ძალზე განარისხა იმპერატორი. დიოკლეთიანემ თავიდან სცადა რბილი ქმედებით ეთქმევიინებინა უარი გიორგისათვის ქრისტიანობაზე და სანაცვლოდ სამეფოს ნახევარს სთავაზობდა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო. ამის შემდეგ დაიწყო წმ. გიორგის მრავალგზის წამება. ის ურმის თვალზე დააკრეს, დაღმართზე კი მახვილები დაავსეს. წმინდა გიორგის სხეული მრავალ ნაწილად დაიჭრა, მაგრამ ღმერთის ანგელოზის გარდამოსვლით წმინდა გიორგი მეყსეულად განიკურნა. შემდეგ ის დამბალ კირში ჩაადგეს და იქ სამი დღე ამყოფეს, მაგრამ ამ განსაცდელსაც გაუძლო. ამას მოჰყვა ფეხებში ლურსმნების გაყრა და იძულებითი სირბილი, ამის პარალელურად მისი გამოღტვა.

როცა წამებამ შედეგი არ გამოიღო, დიოკლეთიანეს ბრძანებით, 303-304 წლებში მას თავი მოჰკვეთეს. წმინდა გიორგის ნაწილები მთელ მსოფლიოშია გაფანტული, მათ შორის საქართველოშიც. მისი მუხლი ჯერ თბილისის სიონის ტაძარში იყო, ხოლო შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.

მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია 23 ნოემბერს აღნიშნავს წმინდა გიორგის ბორბალზე წამების დღეს, ხოლო 6 მაისს, თავის მოკვების დღეს, მხოლოდ საქართველოში აღნიშნავენ.

საქართველოში ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელზეა აგებული და, ამ მხრივ, ბაღდათიც არაა გამონაკლისი. შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში არის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ამ სტატიაში ვისაუბრებთ რამდენიმე ტაძარზე, რომლებიც წმინდა გიორგი სახელობისაა.

### ბაღდათის საკათედრო ტაძარი

წმინდა გიორგის სახელზეა აგებული ბაღდათის საკათედრო ტაძრის პირველი სართული. ამ ტაძრის მშენებლობის იდეა გაჩნდა 1993 წელს, ხოლო მისი მშენებლობა დაიწყო 1996 წელს, მას შემდეგ, რაც ვანი-ბაღდათის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა იმ დროს ეპისკოპო-

სი, ხოლო დღეს მიტროპოლი ანტონი. 1998 წლის 22 ივნისს კი მოხდა ტაძრის კურთხევა.

### ფერსათის (ე.წ. სალხინოს) წმინდა გიორგის ეკლესია

ბაღდათში არსებული წმინდა გიორგის ეკლესიებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია სალხინოს ეკლესია.

სოფელ ფერსათის (სალხინოს) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ერთ-ერთი ვერსიით აიგო VII-VIII საუკუნეებში (მოსახლეობა). ეს არგუმენტი შეგვიძლია გავამყაროთ იმ პერიოდის ხუროთმოძღვრებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ უძველესი, ჩვენამდე შემორჩენილი ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი ბაზილიკური ტიპისაა, რაც შესაძლოა იმდროინდელი საეკლესიო ხელისუფლების მოთხოვნას წარმოადგენდა. ეს ბაზილიკები ბრმად არ იმეორებენ თავის უცხოურ მოდელებს. ქართულ ხუროთმოძღვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ე.წ. „ცენტრალურ“ ნაგებობათა ტრადიციაზე ჩამოყალიბებულ და აგებულ ძეგლებს, რომელნიც აღწერილია ანტიკურ წერილობით წყაროებში (ვიტრევი) და დადასტურებულია ქართული გლეხური საცხოვრებელი სახლის (დარბაზის) არსებობით“.

1812 წლის 12 მარტს ფერსათის (სალხინოს) საყდარში, სიმონოვიჩმა (იმერეთში რუსთა ჯარის მეთაური) და მოგილევიკიმ საჯაროდ ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცეს, რომ მეფეს არ შეიპყრობდნენ, მიიღებდნენ მეფური პატივით და ტორმასოვთან (საქართველოს მთავარმართებელი 1809-1811წწ) შეხვედრის შემდეგ უკან გამოისტუმრებდნენ. სოლომონ მეფე დათანხმდა ტორმასოვთან შეხვედრას (ამ საქმეში ხელმწიფე-იმპერატორს უერთგულეს ზურაბ წერეთელმა, ოტია და სეხნია წულუკიძეებმა, გაენათელმა მიტროპოლიტმა). 1810 წლის 15 მარტს ტორმასოვთან გამგზავრებულ სოლომონს გამოუცხადეს, რომ რუსეთის საპატიო ტყვე იყო და თბილისში ჩაიყვანეს. მეფის შეპყრობისთანავე იმერეთი რუსებმა დაიკავეს და ექვს ოლქად დაყვეს.

სალხინოს ეკლესიაზე შეიმჩნევა მინისძვრის კვალი. პირველი დამანგრეველი მინისძვრა, რომელმაც შესაძლოა იმოქმედა მასზე, მოხდა 1014-1021 წლებში, მეორე 1988 წლის 7 დეკემბერს (სპიტაკის 7,2ბ) და მესამე 1991 წლის 29 აპრილს (სასიეთის 9ბ ფერსათში 6-7.2ბ).

### წითელხევი

წითელხევის წმინდა გიორგის (ე.წ. დევიძების) ეკლესია აგებული უნდა იყოს X ს-ში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადზე თითო-თითო სარკმელი აქვს, ასევე აქვს ორი კარი დასავლეთ და სამხრეთ ფასადზე. როგორც ჩანს, სამხრეთ ფასადზე კარი გვიანაა გაჭრილი, საიდანაც სადაიკვნე მიუშენებიათ.

XVI საუკუნეში ეკლესია შეაკეთეს და ფრესკებითაც მოხატეს. სამწუხაროდ, დღეს ფრესკები საკმაოდ დაზიანებულია და მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია გავარჩიოთ. აქ არის სახარებისა და საუფლო დღესასწაულთა ამსახველი სცენები, სხვადასხვა წმინდანთა და საერო პირთა პორტრეტები. მთავარი ის არის, რომ ვიცი, თუ ვინ მოხატა ეს პატარა ტაძარი. ამ ტაძრის ქტიტორია გიორგი ჯოხთაბერიძე, რომელსაც მოხატულა აქვს წმ. ელიას სახელობის დარბაზული ეკლესია გელათის მონასტერში.

ამა წლის 6 მაისს დევიძების წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში პარაკლისი აღევლინა და აქ შეწირულ იქნა წმ. გიორგის ხატი.

დღეს ეს ეკლესია საკმაოდ დაზიანებულია და სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს, გან-



# ბიოგობა და წმინდა ბიოგობის ეკლესიები

დასაწყისი 80-3 მმ.

საკუთრებით კი მისი მართლაც შესანიშნავი მხატვრობა, რომელიც თანდათან ნადგურდება.

## ობჩის წმ. გიორგის სახელობის „ხოპის“ ეკლესია

ხოპის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აგების თარიღი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზურაბ თოლორდავა თავის ნიგნში „ჩვენი ბაღდათი“ ეკლესიის აშენების თარიღად XVI საუკუნეს მიიჩნევს აქ შემორჩენილი ფრესკების ანალიზის შედეგად. არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე) ამ ეკლესიის არქიტექტურიდან გამომდინარე (ბაზილიკური ტიპი) ფიქრობს, რომ აშენებული უნდა იყოს VII-IX საუკუნეებში (ლალი გურული, ოთარ ივანიშვილი – „ობჩა – საფიცარი სოფელი“).

ხოპის ეკლესიას დიდი ადგილი უჭირავს ზურაბ თოლორდავას ნაშრომში. ავტორი ამ ეკლესიის აღწერისას მთლიანად ეყრდნობა დასავლეთ საქართველოს ისტორიულ და საეკლესიო, ასევე ეპიგრაფიკული ძეგლების, ისტორიული დოკუმენტების, ხელნაწერი ნიგნების მკვლევარს გიორგი ბოჭორიძეს, რომელმაც 1925-1927 წლებში ორჯერ მოინახულა ეს ტაძარი.

ამ პერიოდში ეკლესია ნაშენები იყო თლილი ქვისა და კირისაგან, რომელსაც იმ დროს კარი სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს ჰქონდა. XX ს-ის 20-იან წლებში ეკლესია საკმაოდ ყოფილა დაზიანებული. გიორგი ბოჭორიძის აზრით, ეს ოსმალთა შემოსევების დროს მოხდა.

ამ ეკლესიაში ყოფილა საკმაოდ ლამაზი ფრესკებიც, რომლის ქტიტორიც აქ აღმოჩენილი წარწერების მიხედვით ყოფილა ვინმე თაყა მაჭუტაძე.

ობჩის წმინდა გიორგის ხოპის ეკლესია 1988-1992 წლებში აქაური ახალგაზრდობის სურვილითა და ბიზნესმენ გიორგი გენაძის დახმარებით ხელახლა აღადგინეს.


„ობჩა – საფიცარი სოფელი“ ავტორებს ყურადღება აქვთ გამახვილებული ტერმინი ხოპის განმარტებაზე. ხოპი – სხეულის ზემოთა მაგარ ნაწილს ნიშნავს. ალბათ სწორედ აქედან მოდის ლეგენდა, რომ აქ წმინდა გიორგის თავის ქალის ნაწილი არის დამარხული. ხოლო მამა მაკარის განმარტებით, ხოპი ებრაულ ენაზე თხემს ნიშნავს. შესაძლოა, აქ იგულისხმება მთის თხემი, რადგან ეს ეკლესია საკმაოდ მაღალ გორაკზეა განთავსებული.

ასეთია მოკლე სია წმინდა გიორგის სახელობის იმ ეკლესიებიდან, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში არის აშენებული. მათგან ზოგი საკმაოდ დაზიანებულია და აუცილებელ, საჩქარო ყურადღებას საჭიროებს.

ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიების გარდა ბაღდათის რაიონში არსებობს კიდევ რამდენიმე წმ. გიორგის ეკლესია

1. ობჩის „მშვილდაძეების“ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
2. ქვედა ზეგანის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
3. ზედა დიშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
4. ნითელხევის წმ. გიორგის სახელობის „კახორის“ ეკლესია
5. ხანის „ტყელას“ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ჯუანშერ გუგუშვილი



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა. (ა. ი. ვ. ხულოვებისა და ქუტურის განვითარების ცენტრი საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3  
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54  
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე  
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:  
მარიამ ოქროჭელიძე, ჯუანშერ გუგუშვილი,  
აზა მამაძე, ნინო რობაქიძე, ნინო სახამბერიძე,  
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯავადონდა  
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ  
დაიბეჭდა  
შ.პ.ს. „ქოლორში“